გარე მონაცემთა დაცვის პოლიტიკა

1. შესავალი

ჩვენი საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა ჰიდროენერგეტიკა. ჩვენ ვაწარმოებთ ჰიდროელექტროსადგურების ოპერირებას ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში, შავი ზღვის რეგიონსა და კავკასიაში. ასევე ჩართული ვართ ელექტროენერგიის დისტრიბუციისა და ვაჭრობის სფეროში, ვამუშავებთ მაშტაბურ სადისტრიბუციო ელექტროქსელებს ბულგარეთში და საქართველოში, 2.3 მილიონზე მეტი ელექტროქსელის მომხმარებლით.

ჩვენი კომპანია დაარსდა 1994 წელს ჩეხეთის რესპუბლიკის ქალაქ სვიტავიში. ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ეკონომიკური გარდამავლობის პერიოდში კომპანია მონაწილეობდა ჰიდროელექტრო სექტორის მოდერნიზაციასა და რეაბილიტაციაში. ჩვენი ელექტროსადგურების ჯამური დადგმული სიმძლავრე 1,243 მეგავატია, ხოლო წლიური გენერაცია 3.8 ტერავატ/სთ-ს აღემატება.

მულტინაციონალურ ჯგუფ „ენერგო-პროს“, რომლის სათაო ოფისი გახლავთ ქ. პრაღაში, ერთ-ერთი კომპონენტია წყლის ტურბინების მწარმოებელი სლოვენური კომპანია Litostroj Power d.o.o., რომელიც ახორციელებს მნიშვნელოვან პროექტებს 60-ზე მეტ ქვეყანაში მსოფლიოს მასშტაბით. ჩეხეთის რესპუბლიკაში რეგისტრირებული მისი შვილობილი კომპანია Litostroj Engineering a.s. (ყოფილი ČKD Blansko Engineering, a.s.) ორიენტირებულია კვლევით, დაპროექტების და საინჟინრო სამუშაოებზე. Litostroj Group ასევე აწვდის ჰიდროელექტროსადგურების მოწყობილობებს, მათ შორის ტუმბურ ჰიდროსადგურებს და სატუმბ სადგურებს.

2. რას ეხება ეს

ჩვენ სრული სერიოზულობით ვეკიდებით თქვენს პირად ინფორმაციას. გთხოვთ ყურადღებით წაიკითხოთ მონაცემთა დაცვის ეს პოლიტიკა, რადგან ის შეიცავს მნიშვნელოვან ინფორმაციას იმის თაობაზე თუ ვინ ვართ და როგორ და რატომ ვაგროვებთ, ვინახავთ, ვიყენებთ და ვაზიარებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს. მასში ასევე განმარტებულია თქვენი უფლებები თქვენს პერსონალურ მონაცემებთან მიმართებაში და ის თუ როგორ დაგვიკავშირდეთ ჩვენ ან ზედამხედველობის ორგანოებს საჩივრის შემთხვევაში.

ჩვენ ვაგროვებთ, ვიყენებთ და პასუხისმგებლობას ვიღებთ თქვენ პერსონალურ მონაცემებზე. ყოველივე ამას ჩვენ ვახორციელებთ როგორც ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზოგადი წესდების (“**EU GDPR**”) ასევე მონაცემთა დაცვის ეროვნული კანონებისა და რეგულაციების დაცვით.

3. ძირითადი ტერმინები

სასარგებლო იქნება თუ დავიწყებთ ამ პოლიტიკაში გამოყენებული რამდენიმე ძირითადი ტერმინის ახსნით:

ჩვენ, ჩვენ, ჩვენი	ENERGO-PRO Group[1]
ჩვენი მონაცემთა დაცვის ოფიცერი	მარინა რადევა
პერსონალური მონაცემები	ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც ეხება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად პირს
სპეციალური კატეგორიის პერსონალური მონაცემები	პერსონალური მონაცემები, რომლებიც ავლენენ რასობრივ ან ეთნიკურ წარმოშობას, პოლიტიკურ შეხედულებებს, რელიგიურ მრწამსს, ფილოსოფიურ შეხედულებებს ან პროფკავშირის წევრობას. გენეტიკური და ბიომეტრიული მონაცემები (როდესაც ინფორმაცია დამუშავებულია ინდივიდის ცალსახად იდენტიფიცირებისათვის) მონაცემები ჯანმრთელობის, სქესობრივი ცხოვრების ან სექსუალური ორიენტაციის შესახებ
პერსონალური მონაცემების სუბიექტი	პირი, რომელსაც ეს პერსონალური მონაცემები ეხება

4. ვინ ვართ ჩვენ

ჩვენი ვებ გვერდი

ჩვენ ვართ ჩვენი ვებ – გვერდის საშუალებით მიღებული პერსონალური მონაცემების მაკონტროლებელი, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ვართ ორგანიზაცია, რომელიც იურიდიულად არის პასუხისმგებელია იმაზე თუ როგორ და რა მიზნით მოხდება ამ მონაცემების გამოიყენება.

IP მისამართები

IP მისამართი არის ნომერი, რომელიც ენიჭება თქვენს კომპიუტერს ინტერნეტში შესასვლელად. ეს საშუალებას აძლევს კომპიუტერებს და სერვერებს ამოიცნონ და დაუკავშირდნენ ერთმანეთს. IT უსაფრთხოებისა და სისტემის დიაგნოსტიკის მიზნით მოხდება იმ IP მისამართების ჩაწერა, საიდანაც ჩანს ვიზიტორები. ეს ინფორმაცია ასევე გამოყენებულ იქნება ვებ გვერდის ტენდენციებისა და მუშაობის ანალიზისთვის.

ქუქი-ფაილები

ქუქი-ფაილები, როგორც წესი, განთავსდება თქვენს კომპიუტერზე ან ინტერნეტში ჩართულ მოწყობილობაზე, როდესაც გვესტუმრებით ჩვენს ვებ გვერდზე. ეს საშუალებას აძლევს საიტს დაიმახსოვროს თქვენი კომპიუტერი ან მოწყობილობა და გამოიყენოს სხვადასხვა მიზნით.

[1] ჯგუფში შედის DK Holding Investments-ი, ENERGO-PRO - ის ერთადერთი და უშუალო აქციონერი და მისი ყველა პირდაპირი და არაპირდაპირი შვილობილი კომპანია.

ENERGO-PRO

ჩვენს ზოგიერთ ვებგვერდზე გამოჩნდება შეტყობინების ბანერი, რომლის საშუალებითაც შეგიძლიათ დააფიქსიროთ თქვენი თანხმობა ქუქი -ფაილების შეგროვებაზე (ქუქი - ფაილების ბანერი). ქვემოთ მოცემულია ჩვენს ვებგვერდებზე შეგროვებული ქუქი - ფაილების კატეგორიები და ის თუ რა გავლენა შეიძლება იქონიოს თქვენმა თანხმობამ გარკვეულ მახასიათებლებზე თქვენს მიერ ვებ – გვერდების ნავიგაციისას:

მკაცრად აუცილებელი ქუქი-ფაილები: მკაცრად აუცილებელი ქუქი - ფაილები აუცილებელია იმისათვის, რომ მომხმარებლებმა შეძლონ ვებგვერდზე გადაადგილება და გამოიყენონ ისეთი მახასიათებლები, როგორიცაა ვებსაიტის უსაფრთხო ზონებზე წვდომა. ეს ქუქი - ფაილები უნდა იყოს ჩართული, წინააღმდეგ შემთხვევაში საიტი არ იმუშავებს და მისი დაბლოკვა შეუძლებელი იქნება.

ვებ გვერდის მუშაობის მაჩვენებელი ქუქი -ფაილები: ეს არის ქუქი - ფაილები, რომლებიც გამოიყენება მონაცემთა შეგროვების მიზნით, ვებ – გვერდის მუშაობის გასაუმჯობესებლად.

ქუქი -ფაილების ბანერის გამოყენებით თქვენ შეგიძლიათ დააფიქსიროთ თქვენი თანხმობა, ან განაახლოთ თქვენი ბრაუზერის პარამეტრები (ხშირად გვხვდება ბრაუზერის ინსტრუმენტებში ან პარამეტრების მენიუში), რომ არ მიიღოთ ქუქი -ფაილები.

ფუნქციონალური ქუქი -ფაილები: ფუნქციონალური ქუქი-ფაილები გამოიყენება იმისათვის, რომ მოხდეს მომხმარებლის არჩევანის დამახსოვრება, რომელიც ცვლის საიტის ქცევას და იერსახეს. თქვენ შეგიძლიათ უარი თქვათ ამ ქუქი-ფაილებზე, მაგრამ ეს გავლენას მოახდენს თქვენს ამ ვებგვერდზე მუშაობაზე და შეიძლება ყოველ შესვლაზე დაგჭირდეთ გარკვეული არჩევანის გაკეთება.

ფუნქციონალური ქუქი -ფაილების ბანერის გამოყენებით თქვენ შეგიძლიათ დააფიქსიროთ თქვენი თანხმობა, ან განაახლოთ თქვენი ბრაუზერის პარამეტრები (ხშირად გვხვდება ბრაუზერის ინსტრუმენტებში ან პარამეტრების მენიუში), რომ არ მიიღოთ ქუქი -ფაილები.

მიზნობრივი ან სარეკლამო ქუქი-ფაილები: მიზნობრივი ქუქი-ფაილები გამოიყენება თქვენი ინტერესების შესაბამისი კონტენტის მისაღებად. ისინი ასევე გამოიყენება მარკეტინგული მასალების ნახვის რაოდენობის შეზღუდვის მიზნით, ასევე ამ მარკეტინგული მასალების ეფექტურობის გასაზომად. თუ თქვენ არ დაეთანხმებით მიზნობრივი ქუქი-ფაილების მიღებას, მაშინ თქვენი კომპიუტერი ან ინტერნეტში ჩართული მოწყობილობა ვერ მიჰყვება მარკეტინგთან დაკავშირებულ ქმედებებს კვალდაკვალ.

მიზნობრივი ქუქი -ფაილების ბანერის გამოყენებით თქვენ შეგიძლიათ დააფიქსიროთ თქვენი თანხმობა, ან განაახლოთ თქვენი ბრაუზერის პარამეტრები (ხშირად გვხვდება ბრაუზერის ინსტრუმენტებში ან პარამეტრების მენიუში), რომ არ მიიღოთ ქუქი -ფაილები.

მიუხედავად იმისა, რომ ბრაუზერების უმეტესობა ავტომატურად იღებს ქუქი - ფაილებს, ქუქი - ფაილების თანხმობის ბანერის ან თქვენი ბრაუზერის პარამეტრების საშუალებით (ხშირად გვხვდება ბრაუზერის ინსტრუმენტებში ან პარამეტრების მენიუში) თქვენ

შეგიძლიათ აირჩიოთ მიიღოთ თუ არა ქუქი- ფაილები. თუ გსურთ გააუქმოთ თქვენი არჩევანი, შეგიძლიათ ამის გაკეთება ბრაუზერის ქუქი - ფაილების გაწმენდით, ან თქვენი პარამეტრების განახლებით ქუქი-ფაილების ბანერში. შესაძლოა საჭირო გახდეს გვერდის განახლება განახლებული პარამეტრების ასამოქმედებლად.

5. პერსონალური მონაცემები, რომელსაც ჩვენ ვაგროვებთ თქვენს შესახებ

ჩვენ შეგვიძლია შევაგროვოთ და გამოვიყენოთ თქვენი შემდეგი პერსონალური მონაცემები:

- თქვენი სახელი და საკონტაქტო ინფორმაცია, ელ.ფოსტის მისამართის, ტელეფონის ნომრის და კომპანიის დეტალების ჩათვლით;
- ინფორმაცია თქვენი ვინაობის შესამოწმებლად, მაგ. თქვენი დაბადების თარიღი;
- თქვენი სქესი, თუ თქვენ განაცხადებთ თანხმობას ამ ინფორმაციის გაცემაზე;
- თქვენი მდებარეობის მონაცემები, თუ თქვენ განაცხადებთ თანხმობას ამ ინფორმაციის გაცემაზე;
- თქვენი ანგარიშის ინფორმაცია, გადახდის ბარათთან დაკავშირებული ინფორმაცია;
- თქვენი პირადი ან პროფესიული ინტერესები;
- თქვენი პროფესიული წარმოსადეგობა მაგ. LinkedIn-ის პროფილი;
- თქვენი საკონტაქტო ისტორია, შესყიდვების ისტორია და შენახული ნივთები;
- ინფორმაცია ანგარიშებიდან, რომლის მეშვეობითაც გვიკავშირდებით, მაგ. Facebook;
- ინფორმაცია, რომელიც მოგვცემს შესაძლებლობას რომ ჩავატაროთ საკრედიტო ან სხვა ფინანსური შემოწმება თქვენზე;
- ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ იყენებთ ჩვენს ვებ – გვერდს, IT–ს, საკომუნიკაციო და სხვა სისტემებს;
- თქვენი პასუხები გამოკითხვებზე, კონკურსებსა და რეკლამებზე;
- ვიდეო თვალთვალის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია.

ჩვენ ვაგროვებთ და ვიყენებთ ამ პერსონალურ მონაცემებს, რომ მოგაწოდოთ პროდუქცია და/ან მომსახურება. თუ თქვენ არ მოგვაწოდებთ ჩვენს მიერ მოთხოვნილ პერსონალურ მონაცემებს, ამან შესაძლოა ხელი შეუშალოს ჩვენს მიერ თქვენთვის პროდუქციის და/ან მომსახურების მოწოდებას.

6. როგორ ხდება თქვენი პერსონალური მონაცემების შეგროვება

ჩვენ ვაგროვებთ ამ პერსონალური მონაცემების უმეტესობას პირდაპირ თქვენგან - ტელეფონით, ტექსტური შეტყობინებით ან ელექტრონული ფოსტით და/ან ჩვენი ვებსაიტისა და აპლიკაციების საშუალებით. თუმცა, ჩვენ ასევე შეგვიძლია შევაგროვოთ ინფორმაცია:

- საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან
- პირდაპირ მესამე პირისგან, მაგ. :
  - სანქციების შემოწმების პროვაიდერებისგან;
  - საკრედიტო საცნობარო სააგენტოებისგან;

– მომხმარებელთა კომპლექსური სამართლებრივი შეფასების პროვაიდერებისგან.

- მესამე პირისგან თქვენი თანხმობით, მაგ. თქვენი ბანკი;
- ჩვენს ვებ გვერდზე განთავსებული ქუქი-ფაილებიდან - ქუქი-ფაილების გამოყენების შესახებ დამატებითი ინფორმაციის სანახავად იხილეთ ქუქი-ფაილების ზემოთ მოცემული ველი;
- ჩვენი IT სისტემების საშუალებით, მაგ.:
  – შესვლის სისტემებიდან;
  - ჩვენი ვებსაიტებისა და სხვა ისეთი ტექნიკური სისტემების ავტომატური მონიტორინგის საშუალებით, როგორიცაა ჩვენი კომპიუტერული ქსელები და კავშირები, CCTV და წვდომის კონტროლის სისტემები, საკომუნიკაციო სისტემები, ელექტრონული ფოსტა და მყისიერი შეტყობინებების სისტემები.

7. როგორ და რატომ ვიყენებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს

მონაცემთა დაცვის კანონის თანახმად, ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ თქვენი პერსონალური მონაცემები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გვაქვს სათანადო მიზეზი, მაგალითად:

- თუ თქვენ აცხადებთ თანხმობას;
- ჩვენი სამართლებრივი და მარეგულირებელი ვალდებულებების შესასრულებლად;
- თქვენთან კონტრაქტის შესასრულებლად ან ხელშეკრულების გაფორმებამდე თქვენი თხოვნის შესაბამისად გარკვეული ნაბიჯების გადადგმის მიზნით;
- ჩვენი ლეგიტიმური ინტერესებისათვის ან მესამე მხარის ინტერესებისთვის.

თქვენი ინფორმაციის გამოყენების უფლება მაშინ გვაქვს, როცა არსებობს ამის საქმიანი ან კომერციული საფუძველი, იმ პირობით რომ ეს არ შეზღუდავს თქვენს უფლებებსა და ინტერესებს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია თუ რისთვის და რატომ ვიყენებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს.

რისთვის ვიყენებთ თქვენს პირად მონაცემებს	**შემდეგი მიზეზებით**
თქვენი პროდუქციით ან/და მომსახურებით უზრუნველყოფა	თქვენთან კონტრაქტის შესასრულებლად ან ხელშეკრულების გაფორმებამდე თქვენი თხოვნის შესაბამისად გარკვეული ნაბიჯების გადადგმის მიზნით
თქვენ ან ჩვენს წინააღმდეგ თაღლითობის პრევენცია და გამოვლენა	ჩვენი ლეგიტიმური ინტერესების ან მესამე მხარის ინტერესების დაცვის მიზნით, რაც გულისხმობს იმას, რომ მინიმუმამდე დავიყვანოთ თაღლითობის ალბათობა,

რისთვის ვიყენებთ თქვენს პირად მონაცემებს	**შემდეგი მიზეზებით**
	რომელმაც შესაძლოა დაგაზარალოთ თქვენ და/ან ჩვენ.
შემოწმების ჩატარება ჩვენი მომხმარებლების იდენტიფიცირებისა და მათი ვინაობის გადამოწმება ფინანსური და სხვა სანქციების ან ემბარგოს შემოწმება სხვა ქმედებები, რომლებიც აუცილებელია პროფესიული, სამართლებრივი და მარეგულირებელი ვალდებულებების შესასრულებლად, მაგალითად, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების კანონის ან რეგულაციების შესაბამისად, რომელიც გაცემული იქნება ნებისმიერი მოქმედი მარეგულირებელი ორგანოს მიერ.	ჩვენი სამართლებრივი და მარეგულირებელი ვალდებულებების შესრულების მიზნით
მარეგულირებელი ორგანოს მიერ აუდიტისთვის ან გამოძიებისთვის მოთხოვნილი ინფორმაციის შეგროვება	ჩვენი სამართლებრივი და მარეგულირებელი ვალდებულებების შესრულების მიზნით
იმის უზრუნველყოფა, რომ ბიზნეს პოლიტიკა შესაბამისობაშია მაგალითად, უსაფრთხოების და ინტერნეტის გამოყენების პოლიტიკასთან.	ჩვენი ლეგიტიმური ინტერესების ან მესამე მხარის ინტერესების დაცვის მიზნით, რაც გულისხმობს იმას, რომ ჩვენ ვიცავთ ჩვენს შიდა პროცედურებს, რათა მოგაწოდოთ საუკეთესო პროდუქტები და /ან მომსახურება.
მუშაობასთან დაკავშირებული მიზეზები, როგორიცაა ეფექტურობის გაუმჯობესება, სწავლება და ხარისხის კონტროლი	ჩვენი ლეგიტიმური ინტერესების ან მესამე მხარის ინტერესების დაცვის მიზნით, რაც გულისხმობს იმას, რომ ვიყოთ რაც შეიძლება ეფექტური, რათა მოგაწოდოთ საუკეთესო პროდუქტები და /ან მომსახურება.
კომერციულად გასაიდუმლოებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის უზრუნველყოფა	ჩვენი ლეგიტიმური ინტერესების ან მესამე მხარის ინტერესების დაცვის მიზნით, რაც გულისხმობს იმას, რომ დავიცვათ სავაჭრო საიდუმლოებები და სხვა კომერციულად ღირებული ინფორმაცია

რისთვის ვიყენებთ თქვენს პირად მონაცემებს	**შემდეგი მიზეზებით**
	ჩვენი სამართლებრივი და მარეგულირებელი ვალდებულებების შესრულების მიზნით.
სტატისტიკური ანალიზის ჩატარება, რომელიც დაგვეხმარება ჩვენი ბიზნესის მართვაში, მაგ. ჩვენს ფინანსურ მაჩვენებლებთან, მომხმარებელთა ბაზასთან, პროდუქციის ასორტიმენტთან ან ეფექტურობის სხვა მაჩვენებლებთან მიმართებაში	ჩვენი ლეგიტიმური ინტერესების ან მესამე მხარის ინტერესების დაცვის მიზნით, რაც გულისხმობს იმას, რომ ვიყოთ რაც შეიძლება ეფექტურები, რათა მოგაწოდოთ საუკეთესო პროდუქტები და /ან მომსახურება.
სისტემებზე უნებართვო წვდომის თავიდან აცილება	ჩვენი ლეგიტიმური ინტერესების ან მესამე მხარის ინტერესების დაცვის მიზნით, რაც გულისხმობს იმას, რომ თავიდან ავიცილოთ და გამოვავლინოთ დანაშაულებრივი საქმიანობა, რომელმაც შესაძლოა დაგაზარალოთ თქვენ და/ან ჩვენ. ჩვენი სამართლებრივი და მარეგულირებელი ვალდებულებების შესრულების მიზნით.
მომხმარებელთა ჩანაწერების განახლება და გაუმჯობესება	თქვენთან კონტრაქტის შესასრულებლად ან ხელშეკრულების გაფორმებამდე თქვენი თხოვნის შესაბამისად გარკვეული ნაბიჯების გადადგმის მიზნით ჩვენი სამართლებრივი და მარეგულირებელი ვალდებულებების შესრულების მიზნით. ჩვენი ლეგიტიმური ინტერესების ან მესამე მხარის ინტერესების დაცვის მიზნით, რაც გულისხმობს იმას, რომ ჩვენ შეგვიძლია ჩვენს კლიენტებთან კონტაქტის შენარჩუნება, რაც დაკავშირებულია არსებულ შეკვეთებთან ან ახალ პროდუქტებთან.

რისთვის ვიყენებთ თქვენს პირად მონაცემებს	**შემდეგი მიზეზებით**
კანონის შესატყვისი ანაზღაურება	ჩვენი სამართლებრივი და მარეგულირებელი ვალდებულებების შესრულების მიზნით.
უსაფრთხო სამუშაო პრაქტიკის უზრუნველყოფა, ადამიანური რესურსების მართვა და შეფასება	ჩვენი ლეგიტიმური ინტერესების ან მესამე მხარის ინტერესების დაცვის მიზნით, რაც გულისხმობს იმას, რომ ჩვენ ვიცავთ ჩვენს შიდა პროცედურებს, რათა მოგაწოდოთ საუკეთესო პროდუქტები და /ან მომსახურება.
ჩვენი და ჩვენს მიერ შერჩეული მესამე მხარის პროდუქციის და/ ან მომსახურების მარკეტინგი. მესამე მხარე შეიძლება იყოს: - არსებული და ყოფილი მომხმარებლები - მესამე მხარე, რომლემაც ადრე გამოთქვა ინტერესი ჩვენი პროდუქტებისა და / ან მომსახურების მიმართ - მესამე მხარე, რომელთანაც ადრე შეხება არ გვქონია	თქვენი ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით, თქვენი თანხმობის საფუძველზე.
საკრედიტო შემოწმება გარე საკრედიტო საცნობარო სააგენტოების მეშვეობით	ჩვენი ლეგიტიმური ინტერესების ან მესამე მხარის ინტერესების დაცვის მიზნით, რაც გულისხმობს იმის გარანტირებას, რომ ჩვენს მომხმარებელს შეუძლია ჩვენი პროდუქციისა და/ ან მომსახურების საფასურის გადახდა.
გარე აუდიტი და ხარისხის შემოწმება, მაგ. ISO სტანდარტებისთვის ან ინვესტორებისთვის და ჩვენი ანგარიშების აუდიტი	ჩვენი ლეგიტიმური ინტერესების ან მესამე მხარის ინტერესების დაცვის მიზნით, რაც გულისხმობს იმას, რომ შევინარჩუნოთ აკრედიტაცია, რათა ვაჩვენოთ რომ ჩვენ ვმუშაობთ უმაღლესი სტანდარტების დაცვით. ჩვენი სამართლებრივი და მარეგულირებელი ვალდებულებების შესრულების მიზნით.

რისთვის ვიყენებთ თქვენს პირად მონაცემებს	**შემდეგი მიზეზებით**
ვიდეო თვალთვალი	ჩვენი ლეგიტიმური ინტერესებისათვის ან მესამე მხარის ინტერესებისთვის - უსაფრთხოების მიზნით

სადაც საქმე ეხება სპეციალური კატეგორიის პერსონალურ მონაცემებს, ჩვენ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ვმოქმედებთ მონაცემთა დაცვის კანონების შესაბამისად. მაგ:

- რომ გვაქვს ამაზე თქვენი თანხმობა;
- მონაცემთა დამუშავება აუცილებელია თქვენი (ან სხვისი) სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად, როდესაც თქვენ ფიზიკურად ან იურიდიულად ვერ ახერხებთ თანხმობის გაცემას;
- მონაცემთა დამუშავება აუცილებელია სამართლებრივი პრეტენზიების დასადგენად, განსახორციელებლად ან დასაცავად.

8. მარკეტინგი

თქვენი თანხმობის შემთხვევაში, ჩვენ შესაძლოა დაგიკავშირდეთ (ელექტრონული ფოსტით, ტექსტური შეტყობინებით, ტელეფონით ან ფოსტით) ჩვენი პროდუქციისა და / ან მომსახურების თაობაზე, მათ შორის ექსკლუზიური შეთავაზებებისა და აქციების ჩათვლით, რომლებიც შეიძლება თქვენთვის საინტერესო აღმოჩნდეს.

თქვენ გაქვთ უფლება უარი თქვათ მარკეტინგული კომუნიკაციის მიღებაზე ნებისმიერ დროს:

- ელ. ფოსტაზე დაკავშირებით (რომელიც გაეგზავნა თქვენს საკონტაქტო პირს): ან
- ელ. ფოსტაში „გამოწერის გაუქმების“ ბმულის ან ტექსტებში „STOP“ ნომრის გამოყენებით

ჩვენ შეიძლება მოგთხოვოთ დაადასტუროთ ან განაახლოთ თქვენი მარკეტინგული პრეფერენციები, თუ გვთხოვთ მომავალში პროდუქციისა და / ან მომსახურების მიწოდებას, ან თუ ცვლილებებია კანონში, რეგლამენტში ან ჩვენი ბიზნესის სტრუქტურაში.

ჩვენ ყოველთვის პატივისცემით მოვეპყრობით თქვენს პირად მონაცემებს და არასოდეს გავყიდით ან გადავცემთ მას სხვა ორგანიზაციებს ENERGO-PRO ჯგუფის გარეთ მარკეტინგული მიზნებისათვის.

9. ვის ვუზიარებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს

ჩვენ რეგულარულად ვუზიარებთ პერსონალურ მონაცემებს:

- ENERGO-PRO ჯგუფში შემავალ კომპანიებს;
- მესამე მხარეებს, რომლებსაც ჩვენ ვიყენებთ, რათა დაგეხმაროთ ჩვენი პროდუქციის ან/და მომსახურების მიწოდებაში, მაგ. გადახდის მომსახურების მიმწოდებლები, საწყობები და მიმწოდებელი კომპანიები;

- სხვა მესამე მხარეებს, რომლებსაც ჩვენ ვიყენებთ ჩვენი ბიზნესის წარმართვაში, მაგ. მარკეტინგული სააგენტოები ან ვებ – გვერდის მფლობელები;
- თქვენ მიერ დამტკიცებული მესამე მხარეებს, მაგ. სოციალური მედიის საიტები, რომლებსაც ირჩევთ თქვენი ანგარიშის ან მესამე მხარის გადახდის პროვაიდერებთან დასაკავშირებლად;
- საკრედიტო საცნობარო სააგენტოებს;
- სადაზღვეო კომპანიებს და ბროკერებს, რომლებთანაც ვთანამშრომლობთ;
- ბანკებს რომელთანაც ვთანამშრომლობთ.

ჩვენ მხოლოდ ჩვენ სერვის პროვაიდერებს ვაძლევთ იმის უფლებას, რომ იქონიონ თქვენი პერსონალური მონაცემები, ისიც მაშინ თუ დარწმუნებული ვართ, რომ ისინი იღებენ შესაბამის ზომებს მათ დასაცავად. ჩვენ ასევე ვაკისრებთ სერვის პროვაიდერებს სახელშეკრულებო ვალდებულებებს იმის უზრუნველსაყოფად, რომ ისინი გამოიყენებენ თქვენს პერსონალური მონაცემებს ჩვენთვის და თქვენთვის მომსახურების გაწევის მიზნით. ამ კომპანიებს ექნებათ წვდომა თქვენს პერსონალურ მონაცემებზე მხოლოდ მათი ფუნქციების შესასრულებლად. მათ არ შეუძლიათ გამოიყენონ ეს მონაცემები სხვა მიზნებისთვის.

ჩვენ ასევე შეიძლება მოგვიხდეს:

- პერსონალური მონაცემების გაზიარება გარე აუდიტორებთან;
- ჩვენი სამართლებრივი და მარეგულირებელი ვალდებულებების შესრულების მიზნით სამართალდამცავ და მარეგულირებელ ორგანოებთან პერსონალური მონაცემების გამჟღავნება და გაცვლა;
- გავუზიაროთ ზოგიერთი პერსონალური მონაცემები სხვა მხარეებს, მაგალითად იმ პოტენციურ კლიენტებს, რომლებიც ნაწილობრივ ან რესტრუქტურიზაციის დროს მთლიანად ყიდულობენ ჩვენს ბიზნესს. როგორც წესი, ინფორმაცია ანონიმური იქნება, მაგრამ ეს ყოველთვის ვერ ხერხდება, თუმცა ინფორმაციის მიმღები ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალურობა.

ჩვენ შეგვიძლია გავუზიაროთ და გადავცეთ სხვებს თქვენი პერსონალური მონაცემები იმ შემთხვევაში, თუ საქმე ეხება ჩვენი კომპანიის აქტივების გაყიდვას, მოლაპარაკებებს ჩვენი კომპანიის სხვა კომპანიასთან შერწყმის თაობაზე, ჩვენი კომპანიის საქმიანობის დაფინანსებას, ჩვენი ბიზნესის მთლიანად ან ნაწილობრივ შეძენას სხვა კომპანიების მიერ, მიუხედავად იმისა წარმოადგენენ თუ არა ისინი ბიზნესის იგივე სფეროს. ჩვენი მომხმარებლის მონაცემთა ბაზა შეიძლება გაიყიდოს ბიზნესისგან განცალკავებულად, მთლიანად ან ნაწილობრივ. პოტენციურ მყიდველებს და მათ პროფესიონალ მრჩევლებს შესაძლოა შეზღუდული ჰქონდეთ წვდომა მონაცემებზე. თუმცა, თქვენი პერსონალური მონაცემების გამოყენება დარჩება ამ მონაცემების დაცვის ქვეშ. ანალოგიურად, თქვენი პერსონალური მონაცემები შეიძლება გადაეცეს მემკვიდრეს ლიკვიდაციის, გაკოტრების ან ადმინისტრაციის ცვლილების შემთხვევაში.

თუ გსურთ მიიღოთ მეტი ინფორმაცია იმის შესახებ თუ ვის ვუზიარებთ ჩვენს მონაცემებს და რატომ, გთხოვთ დაგვიკავშირდეთ (იხილეთ ქვემოთ „როგორ დაგვიკავშირდეთ“).

10. დაქირავება/სამსახურში აყვანა

თუ თქვენ მოგვმართავთ სამუშაოს დაწყების განაცხადით, ჩვენ გამოვიყენებთ თქვენს მიერ მოწოდებულ ინფორმაციას თქვენი განაცხადის დამუშავების და დასაქმების სტატისტიკის მონიტორინგის მიზნით. ჩვენ შეგვიძლია გავიტანოთ თქვენი მონაცემები ქვეყნის გარეთ და გადავცეთ ისინი სხვა კომპანიებს. თუ კი თქვენ მოგვმართავთ ჩვენთან სამუშაოს დაწყების განაცხადით, მაშინ ჩვენ მოვითხოვთ თქვენგან კონფიდენციალურობის დამატებით პირობებზე ხელის მოწერას. მას შემდეგ რაც პიროვნება დაიწყებს ჩვენთან მუშაობას, ჩვენ შევქმნით ფაილს, რომელიც ეხება მის დასაქმებას. სწორედ ამ ეტაპზე ავუხსნით უფრო დეტალურად თუ როგორ ვინახავთ თანამშრომელთა პერსონალურ მონაცემებს და ჩვენ ველით, რომ თანამშრომელი ხელს მოაწერს კონფიდენციალურობის დამატებით პირობებს.

თუ კი თქვენ მოგვმართავთ სამუშაოს დაწყების განაცხადით მესამე მხარის დახმარებით, მაგალითად დასაქმების კონსულტანტის, გთხოვთ წინასწარ გადახედოთ მათ მონაცემთა დაცვის პოლიტიკასაც. ჩვენ არ ვემხრობით მონაცემთა გადაცემას მოთხოვნის გარეშე, არც პირდაპირ და არც მესამე მხარისაგან - გთხოვთ ნუ გამოგვიგზავნით პერსონალურ მონაცემებს, მანამ სანამ პიროვნება, რომელსაც ეხება ეს მონაცემები არ წაიკითხავს და განაცხადებს თანხმობას ამ მონაცემთა დაცვაზე.

ჩვენ ექვსი თვის მანძილზე შეგვიძლია შევინახოთ იმ კანდიდატთა მონაცემები, რომლებიც შესაძლოა საინტერესო იყოს ჩვენთვის ეხლა და მომავალში. თუ კი არ ეთანხმებით ამას, გთხოვთ შეგვატყობინოთ. გარდა ამისა, თუ თქვენი გარემოებები შეიცვალა, მაგალითად აღარ გსურთ ჩვენთან დასაქმება - გთხოვთ, რომ ესეც შეგვატყობინოთ.
პოტენციური კანდიდატების განხილვაში შეიძლება ჩავრთოთ მესამე მხარე. ჩვენ ასევე შეგვიძლია გადავამოწმოთ თქვენი განაცხადის დეტალები და გავატაროთ შემოწმებასთან დაკავშირებული ყველა ის ღონისძიება რაც აუცილებლად და გონივრულად მიგვაჩნია. ამ შემოწმებების შედეგად მესამე მხარეს შესაძლოა დასჭირდეს თქვენთან დაკავშირება და ინფორმაციის მოპოვება.

11. სად ინახება თქვენი პერსონალური მონაცემები

პერსონალური მონაცემები შესაძლებელია იყოს დაცული ჩვენს ოფისებში და ჩვენ ჯგუფთან დაკავშირებულ კომპანიებში, მესამე მხარის სააგენტოებში, მომსახურების პროვაიდერებთან, წარმომადგენლებთან და აგენტებთან, როგორც ეს აღწერილია ზემოთ (იხ. „ვის ვუზიარებთ თქვენს პირად მონაცემებს“).
ზოგი მესამე მხარე შეიძლება მდებარეობდეს EEA-ს (ევროპის ეკონომიკური ზონა) გარეთ. დამატებითი ინფორმაციისათვის, მათ შორის, თუ როგორ ვიცავთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს ასეთ შემთხვევებში, იხილეთ ქვემოთ "თქვენი პერსონალური მონაცემების გადაცემა EEA-ს გარეთ".

12. რამდენ ხანს ინახება თქვენი პერსონალური მონაცემები

ჩვენთან თქვენი პერსონალურ მონაცემები შეინახება მანამ, სანამ თქვენ გაქვთ ჩვენთან ანგარიში ან სანამ უზრუნველგყოფთ პროდუქტებით და/ ან სერვისებით. ამის შემდეგ, ჩვენთან თქვენი პერსონალური მონაცემები შეინახება მანამდე, სანამ საჭიროება მოითხოვს:

- რათა ვუპასუხოთ თქვენი სახელით გაკეთებულ ნებისმიერ შეკითხვას, საჩივარს ან პრეტენზიას;
- იმის საჩვენებლად რომ სამართლიანად მოგექეცით;
- კანონით გათვალისწინებული დოკუმენტაციის შესანახად.

ჩვენ არ შევინახავთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს საჭიროზე მეტ ხანს. სხვადასხვა ტიპის პერსონალურ მონაცემებზე ვრცელდება შენახვის სხვადასხვა ვადა.

ჩვენ პერსონალურ მონაცემებს ვინახავთ იმდენ ხანს I) რამდენადაც ეს ინფორმაცია აუცილებელია ინდივიდუალური მოთხოვნის შესასრულებლად II) რამდენადაც ეს აუცილებელია სამართლებრივი, მარეგულირებელი, შიდა ბიზნესის ან პოლიტიკის მოთხოვნების შესასრულებლად, ან III) სანამ პირი, ვისაც ეხება ეს პერსონალური მონაცემები თვითონ არ მოითხოვს მის წაშლას. მონაცემთა შენახვის ვადა დამოკიდებული იქნება კონკრეტულ ბუნებაზე და გარემოებებზე, რომლებშიც შეგროვდა ეს ინფორმაცია.

როდესაც საჭიროება აღარ იქნება თქვენი პირადი მონაცემების შენახვა, ჩვენ წავშლით ან ანონიმურად ვაქცევთ მათ.

13. თქვენი პერსონალური მონაცემების გადაცემა EEA-ს (ევროპის ეკონომიკური ზონა) გარეთ

თქვენთვის პროდუქციის ან/და მომსახურების მიწოდებისთვის, ზოგჯერ ჩვენთვის აუცილებელია თქვენი პირადი მონაცემების გაზიარება EEA– ს გარეთ, მაგ.:

- ჩვენი ოფისებისთვის ან სხვა კომპანიებისთვის ჩვენი ჯგუფის ფარგლებში, რომლებიც მდებარეობს EEA-ს გარეთ;
- თქვენს და ჩვენი სერვის პროვაიდერებისთვის, რომლებიც მდებარეობს EEA– ს გარეთ;
- თუ თქვენ იმყოფებით EEA– ს გარეთ.

მონაცემთა დაცვის კანონის თანახმად, ჩვენ შეგვიძლია თქვენი პერსონალური მონაცემების გადაცემა მხოლოდ EEA–ს გარეთ მდებარე იმ ქვეყნისთვის ან საერთაშორისო ორგანიზაციისთვის, სადაც:

- ევროკომისიამ დაადგინა, რომ კონკრეტული ქვეყანა ან საერთაშორისო ორგანიზაცია უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვის ადეკვატურ დონეს (რომელიც ცნობილია როგორც ‘’ გადაწყვეტილება ადეკვატურობაზე’’);

- არსებობს შესაბამისი გარანტიები, მონაცემთა სუბიექტების აღსასრულებელ უფლებებთან და ეფექტურ სამართლებრივ საშუალებებთან ერთად; ან
- მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის თანახმად ვრცელდება განსაკუთრებული გამონაკლისი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენ შეგვიძლია გადავცეთ თქვენი პერსონალური მონაცემები გარკვეულ ქვეყნებს ადეკვატურობის გადაწყვეტილების საფუძველზე. გთხოვთ იხილოთ ევროკომისიის მიერ დადგენილი იმ ქვეყნების სია, რომლებისთვისაც არსებობს ადეკვატურობის გადაწყვეტილება: https://ec.europa.eu/info/law/law-topic/data-protection/international-dimension-data-protection/adequacy-decisions_en.

დროდადრო შეიცვლება იმ ქვეყნების სია, რომლებიც სარგებლობენ ადექვატური გადაწყვეტილებებით. ჩვენ ყოველთვის ვეცდებით დავეყრდნოთ ადექვატურობის გადაწყვეტილებას, თუ ესეთი არსებობს.

14. მონაცემთა გადაცემა შესაბამისი გარანტიებით

ადექვატურობის შესახებ გადაწყვეტილების არარსებობის შემთხვევაში, ჩვენ შეგვიძლია გადავცეთ თქვენი პერსონალური მონაცემები სხვა ქვეყანას, თუ დავრწმუნდებით, რომ მონაცემთა გადაცემა ხდება მონაცემთა დაცვის კანონის შესაბამისად, რომ არსებობს შესაბამისი გარანტიები და რომ მონაცემთა სუბიექტებისთვის ხელმისაწვდომია აღსრულებადი უფლებები და ეფექტური სამართლებრივი საშუალებები.

გარანტიები ჩვეულებრივ მოიცავს კანონით დამტკიცებულ მონაცემთა დაცვის სტანდარტული კონტრაქტის პუნქტების გამოყენებას.

15. დამატებითი ინფორმაცია

თუ გსურთ მიიღოთ დამატებითი ინფორმაცია EEA– ს ფარგლებს გარეთ გადაცემული მონაცემების შესახებ, გთხოვთ დაუკავშირდეთ ჩვენს მონაცემთა დაცვის ოფიცერს (იხ. ქვემოთ „როგორ დაგვიკავშირდეთ“).

თქვენი უფლებები

თქვენ გაქვთ შემდეგი უფლებები, რომელთა გამოყენება შეგიძლიათ უსასყიდლოდ:

წვდომა	თქვენი პირადი მონაცემების ასლის მიღების უფლება
შესწორების შეტანა	იმის უფლება, რომ მოგვთხოვოთ თქვენს პერსონალურ მონაცემებში ნებისმიერი შეცდომის გამოსწორება
წაშლა (ასევე ცნობილია, როგორც დავიწყების უფლება)	იმის უფლება, რომ მოითხოვოთ ჩვენგან თქვენი პირადი მონაცემების წაშლა - გარკვეულ სიტუაციებში
დამუშავების შეზღუდვა	იმის უფლება, რომ გარკვეულ გარემოებებში მოგვთხოვოთ თქვენი პირადი მონაცემების

	დამუშავების შეზღუდვა, მაგალითად, თუ თქვენ ეჭვქვეშ აყენებთ მონაცემების სიზუსტეს
მონაცემთა პორტაბელურობა	პირადი მონაცემების მიღების უფლება, რომელიც თქვენ მოგვაწოდეთ სტრუქტურირებულ, საზოგადოდ მიღებულ და მანქანურად წაკითხვად ფორმატში და/ან გადასცეთ ეს მონაცემები მესამე მხარეს- გარკვეულ სიტუაციებში.
გაპროტესტება	გაპროტესტების უფლება გაქვთ: - ნებისმიერ დროს თუ თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავება ხდება მარკეტინგული მიზნებისთვის (პროფილირების ჩათვლით). - I სხვა სიტუაციებში, თუ კი მუდმივად ხდება თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავება, მაგალითად ჩვენი ლეგიტიმური ინტერესების გატარების მიზნით
ინდივიდუალური გადაწყვეტილებების მიღებაზე უარის თქმა	უფლება არ დაემორჩილოთ გადაწყვეტილებას, რომელიც დაფუძნებულია მხოლოდ ავტომატურ დამუშავებაზე (მათ შორის პროფილირებაზე), რომელიც მნიშვნელოვან სამართლებრივ ზეგავლენას იქონიებს თქვენზე.

თითოეული ამ უფლებების შესახებ დამატებითი ინფორმაციისათვის, მათ შორის იმ გარემოებების ჩათვლით, რომლებშიც ისინი გამოიყენება, გთხოვთ დაგვიკავშირდეთ (იხ. ქვემოთ „როგორ დაგვიკავშირდეთ“) ან იხილეთ https://eur-lex.europa.eu/eli/reg/2016/679/oj.

თუ გსურთ რომელიმე ზემოაღნიშნული უფლების გამოყენება, გთხოვთ:

- შეავსეთ მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის ფორმა-ხელმისაწვდომია ჩვენს ვებგვერდზე
- მოგვწერეთ ელ.ფოსტაზე, დაგვირეკეთ ან მოგვწერეთ (იხ. ქვემოთ ‘’როგორ დაგვიკავშირდეთ");
- მოგვაწოდეთ საკმარისი ინფორმაცია, რათა შეძლოთ თქვენი თავის იდენტიფიცირება მაგ: თქვენი სრული სახელი, მისამართი, კლიენტის ან საკითხის საცნობარო ნომერი და ნებისმიერი დამატებითი ინფორმაცია რომელიც შეიძლება მოვითხოვოთ თქვენგან;
- გვაცნობეთ რომელი უფლების გამოყენება გსურთ და ინფორმაცია, რომელსაც ეხება თქვენი მოთხოვნა.

16. თქვენი პერსონალური მონაცემების დაცვა

ჩვენ განვახორციელეთ ის, რაც ჩვენ მიგვაჩნია, რომ არის უსაფრთხოების გონივრული და შესაბამისი ზომები, რათა თავიდან ავიცილოთ პერსონალური მონაცემების შემთხვევითი დაკარგვა და უკანონო გამოყენება ან მასზე წვდომა. ჩვენ ვზღუდავთ თქვენს პერსონალურ

მონაცემებზე წვდომას მათთვის, ვისაც ბიზნეს საჭიროებისათვის სჭირდებათ მათი გამოყენება. ისინი, ვინც ამუშავებენ თქვენს ინფორმაციას, ამას მხოლოდ ავტორიზებული წესით გააკეთებენ და ვალდებულნი არიან დაიცვან კონფიდენციალურობა.

ჩვენი უსაფრთხოების ზომებისა და მცდელობის მიუხედავად, რომ დავიცვათ თქვენი პერსონალური მონაცემები, ინფორმაციის ელექტრონულად გადაცემის ვერცერთი საშუალება თუ ინფორმაციის შენახვის ტექნოლოგია ვერ მოგვცემს უსაფრთხოების სრულ გარანტიას. ასე რომ ჩვენ ვერ გპირდებით და ვერ გაძლევთ იმის გარანტიას, რომ ჰაკერები, კიბერდამნაშავეები ან არაუფლებამოსილი პირები ვერ შეძლებენ ჩვენი უსაფრთხოების სისტემაში შეღწევას და თქვენი მონაცემების მოპოვებას, მოპარვას ან შეცვლას. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ დავიცვათ თქვენი პერსონალური ინფორმაცია, ჩვენი ვებ გვერდიდან თქვენი პერსონალური მონაცემების მოპოვების შესაძლებლობა თქვენს ხელთაა. თქვენ უნდა შეხვიდეთ ვებ გვერდზე მხოლოდ უსაფრთხო გარემოში.

რაც შეეხება ჩვენი ვებსაიტის ინვესტორებთან ურთიერთობის ნაწილს, თუ თქვენ ხართ ვებგვერდის რეგისტრირებული მომხმარებელი პასუხისმგებელი ხართ შემდეგზე:

- ვებ გვერდიდან გამოსვლაზე, როცა აღარ იყენებთ მას;
- რომ სხვამ ვერავინ გამოიყენოს ვებ გვერდი სანამ თქვენი მოწყობილობაა შესული ამ გვერდზე (მათ შორის, თქვენს მოწყობილობაზე შესვლით მობილურით, Wi-Fi- ით ან საერთო წვდომის კავშირით, რომელსაც თქვენ იყენებთ);
- თქვენ ხართ პასუხისმგებელი საიდუმლოდ შეინახოთ თქვენი პაროლი ან სხვა წვდომის ინფორმაცია. თქვენი პაროლი და შესვლის დეტალები პირადია თქვენთვის და არ უნდა აღმოჩნდეს სხვის ხელში ან გამოყენებულ იქნას საერთო წვდომის უზრუნველსაყოფად, მაგალითად ქსელში. თქვენ უნდა გამოიყენოთ პაროლი, რომელიც უნიკალურია თქვენი ვებგვერდის გამოყენებისათვის - არ გამოიყენოთ იგივე პაროლი, რომელსაც იყენებთ სხვა საიტისთვის ან ელ.ფოსტის ანგარიშისთვის.

ჩვენ ასევე გვაქვს პროცედურები მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევის ნებისმიერი ეჭვის აღმოსაფხვრელად. ჩვენ შეგატყობინებთ თქვენ და ნებისმიერ შესაბამის მარეგულირებელ ორგანოს მონაცემთა უსაფრთხოების სავარაუდო დარღვევის შესახებ, თუ ამას კანონი მოითხოვს.

ვებგვერდი შეიძლება შეიცავდეს ბმულებს მესამე მხარის ვებსაიტებზე. ჩვენ არ ვართ პასუხისმგებელი კონფიდენციალურობის უსაფრთხოებაზე ან ამ ვებსაიტების შინაარსზე. ამიტომ, გთხოვთ ყურადღებით წაიკითხოთ კონფიდენციალურობის პოლიტიკა ამ ბმულებზე ან ვებსაიტებზე, სანამ დათანხმდებით მათ პირობებს ან გამოიყენებთ ამ ვებსაიტებს.

ჩვენ ასევე შეგვიძლია გამოვიყენოთ Google Analytics-ი ვებსაიტების გამოყენების სტატისტიკის შესაგროვებლად. ეს შეიძლება გულისხმობდეს ქუქი - ფაილების გამოყენებას.

Google- მა შეიძლება შეაგროვოს მონაცემები, რომლებიც მათ შეაგროვეს სხვადასხვა სამსახურებიდან, მათ შორის Google Analytics, Google Translate, Google Maps და YouTube. მონაცემების შეგროვების პრაქტიკის დეტალებთან დაკავშირებით უნდა გადახედოთ Google– ის მონაცემთა დაცვის პოლიტიკას.

თუ თქვენ გვთხოვეთ მონაცემების გადაცემა მესამე მხარის საიტებისთვის (როგორიცაა სოციალური ქსელები), მათი სერვერები შეიძლება აღმოჩნდეს დაუცველი.

გთხოვთ ასევე გაითვალისწინოთ, რომ მიუხედავად ჩვენი და მესამე მხარის მიერ განხორციელებული ზომებისა, ინტერნეტი არ არის დაცული. შედეგად, სხვებს შეუძლიათ უკანონოდ მიიღონ წვდომა კერძო გადაცემებზე ან მონაცემებზე.

17. როგორ გამოვხატოთ უკმაყოფილება

გთხოვთ დაგვიკავშირდეთ, თუ თქვენ გაქვთ რაიმე შეკითხვა ან შეშფოთება ინფორმაციის გამოყენებასთან დაკავშირებით (იხ. ქვემოთ "როგორ დაგვიკავშირდეთ"). ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ შევძლებთ ნებისმისრი პრობლემის მოგვარებას.

თქვენ ასევე გაქვთ უფლება შეიტანოთ საჩივარი მონაცემთა დაცვის ეროვნულ ორგანოში ან მონაცემთა დაცვის რომელიმე სხვა შესაბამის ევროპულ ორგანოში. ჩვენი ჯგუფის მონაცემების დაცვის ძირითადი ორგანოები შემდეგია:

ჩეხეთის რესპუბლიკა	პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფისი	https://www.uoou.cz
ბულგარეთი	ბულგარეთის მონაცემთა დაცვის სამსახური / ორგანო	https://www.cpdp.bg
თურქეთი	თურქეთის მონაცემთა დაცვის სამსახური / ორგანო	https://www.kvkk.gov.tr
საქართველო	პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი	https://personaldata.ge/ka
შვეიცარია	ფედერალურ მონაცემთა დაცვისა და ინფორმაციის კომისარი	https://www.edoeb.admin.ch
ესპანეთი	ესპანეთის პერსონალური მონაცემების დაცვის სააგენტო	https://www.aepd.es/en
კოლუმბია	მრეწველობისა და კომერციის ზედამხედველობის სამსახური	https://sedeelectronica.sic.gov.co/
ბრაზილია	მონაცემთა დაცვის ეროვნული ორგანო	https://www.gov.br/anpd/pt-br
ა.შ.შ.	ტეხასის გენერალური პროკურორი	https://www.texasattorneygeneral.gov/

18. ცვლილებები მონაცემთა დაცვის პოლიტიკაში

ეს კონფიდენციალურობის ცნობა გამოქვეყნდა 1.3.2021.

ჩვენ შეიძლება დროდადრო შევცვალოთ ეს კონფიდენციალურობის ცნობა - ამის შესახებ ჩვენ შეგატყობინებთ ჩვენი ვებსაიტის და / ან ელ.ფოსტის საშუალებით. შესაბამისად, ჩვენ გირჩევთ, რომ ხშირად გადახედოთ მონაცემთა დაცვის პოლიტიკას, რათა ყოველგვარი ცვლილებების შესახებ ინფორმირებული იყოთ.

19. როგორ დაგვიკავშირდეთ

თქვენ შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ჩვენ და /ან ჩვენ მონაცემთა დაცვის ოფიცერს ფოსტის, ელ. ფოსტის ან ტელეფონის საშუალებით, თუ გექნებათ რაიმე შეკითხვა მონაცემთა დაცვის თაობაზე ან ინფორმაციის თაობაზე, რომელსაც ჩვენ ვფლობთ თქვენს შესახებ, ასევე იმისთვის, რომ გამოიყენოთ თქვენი უფლებები მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის შესაბამისად ან შეიტანოთ საჩივარი.

ჩვენი საკონტაქტო ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

ჩვენი საკონტაქტო ინფორმაცია	ჩვენი მონაცემთა დაცვის ოფიცრის საკონტაქტო ინფორმაცია
marina.radeva@energo-pro.bg	პერსონალური მონაცემების დაცვის ოფისი ვიცე-პოლკოვნიკი ბილეთი 27 170 00 პრაღა 7